ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2012-2013 წლების
საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

თბილისი 2019

ტაო-კლარჯეთის ძეგლების
2012-2013 წლების საკვლევი ექსპედიციების ანგარიშები

2012-2013 წლებში ავტორთა ჯგუფმა (2014 წელს იგი ორგანიზაციულად დაფუძნდა **„საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის“** სახით), **კავკასიის უნივერსიტეტის ხელშეწყობით** განახორციელა 3 ექსპედიცია (21 დღე), ისტორიულ სამცხის ნაწილსა და ერუშეთში, რომელიც ამჟამად თურქეთის არდაჰანის (არტანის) პროვინციაში (Ardahan İl) შემავალ ფოსოფის (ფოცხოვის) (Posof İlçe), დამალისა (ტამალის) (Damal İlçe) და ჰანაკის (ხანაკის) (Hanak İlçe) რაიონებს მოიცავს.

ექსპედიციებში მონაწილეობდნენ: თეიმურაზ ხუციშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), დავით გაჩეჩილაძე, ანა იმედაშვილი, შალვა კოღუაშვილი, ლევან წიქარიშვილი.

ექსპედიციების ანგარიშები მოამზადეს: პროფესორმა **თეიმურაზ ხუციშვილმა** (ხელმძღვანელი), **ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოღუაშვილმა,** პროფესორმა **დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა.**

ანგარიშები იბეჭდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** დაფინანსებით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საექსპედიციო სამუშაოების დროს.

Reports of 2012-2013 Research Expeditions of Tao-Klarjeti Monuments

In 2013-2013 years the authors group (in 2014 founded as non-profit legal entity **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources**) supporting with **Caucasus University** implemented three (21 days) expeditions in historical Samtskhe and Erusheti, which are located in modern Turkey, in Ardahan (Artani) province and included Posof (Potskhovi), Damal (Tamali) and Hanak (Khanaki) districts.

The expeditions participants: **Teimuraz Khutsishvili** (the head of expeditions), **Davit Gachechiladze, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili, Levan Tsikarishvili.**

The expeditions' reports were prepared by: Professor **Teimuraz Khutsishvili** (scientific head), **Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili,** Professor **Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili**.

The expeditions' reports are printed by **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** funding.

Photos that are not indicated the owner or the author are taken during the expedition work.

© თ. ხუციშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი
კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. საკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili.
"Caucasus University Publishing House", P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9639-0-2

სარჩევი

შესავალი 4

აგარა, არაიდენტიფიცირებული ციხეები 5
ალი, მონასტერი 5
არილა, ციხე სოფლის სამხრეთით 6
გიორგისუბანი, ეკლესია 7
გუდანეთი, ეკლესია 7
გუდანეთი, მშრალი წყობის ნაგებობა 8
ერემა, ეკლესია 8
ერემა, ციხე 9
ვარძნა, ეკლესია 9
ზეინდარი, ეკლესია 10
ზემო წურმანი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 11
ზემო ხანაკი, ეკლესია 11
ზემო ხანაკი, ციხე 12
იენიქოი, ეკლესია 13
კარაკალე, ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით 13
კარაკალე, ციხე 14
კონდურელი, მშრალი წყობის ნაგებობა 14
მერე, ციხე 15
ორღართა, მონასტერი 17
პეტობანი, ეკლესიები 18
საკირე, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით 19
სამოთხე, მეგალითური ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით 20
სეიდივერანი, მეგალითურისა და სხვა ტიპის ნაგებობების კომპლექსი სოფლის დასავლეთით 20
ქვემო წურმანი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 21
ღვიმე, ეკლესია 22
ღვიმე, ციხე 23
ღვინია, ეკლესიისა და სხვა ნაგებობების კომპლექსი 24
ღვინია, ციხე 25
ყველი, მონასტერი 26
ყველი, ციხე 26
შუარტყალი, ეკლესიები 27
ჩიკორა, ეკლესია 28
ჩორჩევანი, დარანი 28
ჩორჩევანი, სოფელში დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვა 29
წურწყაბი, საეპისკოპოსო ტაძარი 30
წურწყაბი, ციხე 30
ჭანჭახი, ციხეები 31
ჭუანთელი, ციხე 32
ხუნამისი, ციხე, ეკლესია და კოშკები 33
ჯაყი, ციხე 35
ჯუმათელი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 36

შესავალი

საექსპედიციო და საკვლევი სამუშაოები ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ავტორთა ჯგუფის მიერ 2012 წლიდან ტარდება ტერიტორიის ინტენსიური შესწავლის მეთოდოლოგიით, რომელიც გულისხმობს ისტორიული მხარეების ყველა სოფლისა თუ ნასოფლარის და მათი შემოგარენის დეტალურ შესწავლას, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა რაიმე წყარო (ცნობა) ამ კონკრეტულ ადგილში კულტურის ძეგლის სავარაუდო არსებობის შესახებ. ამ მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგად შესაძლებელი გახდა ამ მხარეში არსებული ასობით უცნობი ძეგლის გამოვლენა, რომლებიც მანამდე ცნობილი არ იყო ქართულ, რუსულ თუ დასავლურ სამეცნიერო სივრცეში.

2012-2013 წლებში ჩატარდა 3 ექსპედიცია (21 დღე) სამცხის ნაწილსა და ერუშეთში. შესწავლილ იქნა ამ მხარეებში მდებარე 100-ზე მეტი სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები.

შედეგად, ამ მხარეში დაფიქსირდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი კულტურის 25 ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა, გამოვლინდა კულტურის 20 უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ქართულ, რუსულ თუ დასავლურ წერილობით წყაროებში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: 22 ეკლესია (7 უცნობი), 16 ციხე და კოშკი (6 უცნობი), 7 უცნობი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა (მეგალითური, მიწისქვეშა, მღვიმის, საცხოვრებელი და სხვა.). გამოვლინდა 1 უცნობი ქართული წარწერა.

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, გაკეთდა ანაზომები და დადგინდა GPS კოორდინატები.

წარმოდგენილ ანგარიშებში აქცენტები გაკეთებულია იმ ინფორმაციებზე, რომელიც, ჩვენი აზრით, სიახლეს, განსხვავებულ ინტერპრეტაციას ან დამატებით ცნობებს შეიცავს.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია **„კვლევის ცენტრის“** ფეისბუქ გვერდზე (**საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი**).

2012-2013 წლებში ექპედიციებისას მიკვლეულ ძეგლთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვიმეს, ღვინიასა და ჭუანთელის ციხეები, სეიდივერანის მეგალითური კომპლექსი; ღვიმესა და ღვინიას ეკლესიები; პეტობნის ლაპიდარული წარწერა; შუა საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში მოხსენიებული შუარტყალისა და ორღართას მონასტრების იდენტიფიცირება.

აგარა, არაიდენტიფიცირებული ციხეები

ისტორიული სამცხის სოფელ აგარაში, თანამედროვე სოფელ კელეონუში (Kaleönü) ივანე გვარამაძე 1882 წლის პუბლიკაციაში ასახელებს ორ ციხეს შურისა და გარდამკიდეს ციხეებს. ნაგებობები ფიქსირდება მხოლოდ ტოპონიმის სიზუსტით. ძეგლების არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. კოორდინატების დადგენა ვერ მოხერხდა.

ალი, მონასტერი

ისტორიული სამცხის სოფელ ალში, თანამედროვე სოფელი ალქოიში (Alköy) მდებარეობდა წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილი ალის მონასტერი. ამჟამად შემორჩენილია ტაძრის კედლების ფრაგმენტები და ცალკეული ქვის არტეფაქტები (41°29´32.01″N; 42°46´14.29″E).

ალის მონასტრის ტერიტორიაზე სხვა ნაგებობათაგან პრასკოვია უვაროვასა და ივანე გვარამაძეს დაფიქსირებული აქვთ ორი მცირე ეკლესია, გუმბათიანი სამრეკლო და გალავანი, რომლეთა კვალი ამჟამად არაა შემორჩენილი.

XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის მონასტრის ნაგებობები ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. 90-იანი წლებისთვის კი მონასტერი მკვლევარებს უკვე ცუდ მდგომარეობაში დახვდათ. ამ პერიოდისთვის მთავარ ეკლესიას მოპირკეთების ქვები თითქმის აღარ ჰქონდა და დამხმარე ნაგებობების ნაწილი განადგურებული იყო. ადგილობრივ მოსახლეობას მონასტრის ქვები არა მარტო მეჩეთის, არამედ სასაფლაოების, საკვამურებისა და ღობეების მშენებლობისათვის გამოუყენებიათ. XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის მონასტრის ნაგებობები თითქმის სრულიად განადგურდა.

დღეისათვის მონასტრის ნაგებობათაგან შემორჩენილია დუღაბიანი, პერანგშემოცლილი, წაქცეული კედლების მოზრდილი ფრაგმენტები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეთა ეზოებშია. სოფლის ნაგებობათა კედლებში ჩატანებულია ეკლესიის წნულორნამენტებიანი ქვები. სოფლის ერთ-ერთ ეზოში მონასტრის ჩუქურთმიანი ემბაზია, რომლის ჩანახატი და აღწერა პრასკოვია უვაროვას ექსპედიციისას აქვს გაკეთებული. ემბაზი თითქმის დაუზიანებლადაა შემონახული.

ეკვდერის წარწერა (XI ს.)

წმ. გიორგის ტაძარი



წმ. გიორგის ტაძრის გრძივი განაკვეთი სამხრეთისკენ (პ. უვაროვას რეკონსტრუქცია).



წმ. გიორგის ტაძრის პ. უვაროვას გეგმა

არილა, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული სამცხის სოფელ არილას, თანამედროვე სოფელი სიუნგულუს (Süngülü) სამხრეთით, მდინარე ჯაყისწყლის მარცხენა სანაპიროსთან მდებარე კლდოვანი ბორცვის თავზე შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (41°27'47.78"N; 42°52'3.71"E).

იკითხება ციხის წაგრძელებული მართკუთხედი ფორმა. ციხის ზომები დაახლოებით 30×10 მეტრია, ხოლო კედლის სისქე ზოგან 2 მეტრამდე აღწევს. შემორჩენილი კედლებიდან ყველაზე უკეთაა შემონახული დასავლეთი მხარე. იკითხება გოდლის ფრაგმენტი, რომლის სიმაღლე დაახლოებით 3 მეტრია. კლდეზე, რომელზეც ციხე მდებარეობს განირჩევა რამდენიმე მღვიმე.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

გიორგისუბანი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელ გიორგისუბანში, თანამედროვე სოფელ თაშქირანში (Taşkıran), სოფლის ცენტრში, XIX საუკუნის მეჩეთთან ახლოს, საცხოვრებელი სახლის კედელში, ჩატანებულია ვარდისფერი ორნამენტიანი ქვა (41°33'41.76"N; 42°45'35.57"E).

ჩანს, სოფელში მეჩეთი ეკლესიის ადგილას აუგიათ და სამშენებლოდ მისი ქვები გამოუყენებიათ. ამას ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობაც.

გიორგისუბნის ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

გუდანეთი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელ გუდანეთის, თანამედროვე სოფელი ჩიმლიჩაირის (Çimliçayır) მახლობლად, მდინარე ხანაკისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ზეგანზე, სათიბებში შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ეკლესიის მცირე ნაშთები (41°16'50.88"N; 42°48'24.28"E).

დარჩენილია ეკლესიის კუთხის და აფსიდის დუღაბის დიდი ფრაგმენტი (2.0×1.5 მ.), რომელზეც განირჩევა მოპირკეთების ქვების კვალი. აგრეთვე, გარშემო მიმობნეულია ეკლესიის დუღაბის ფრაგმენტები. ეკლესიის გეგმა არ იკითხება.

ისტორიული ერუშეთის სოფელ უკანმოთილში, თანამედროვე სოფელ ჩიმლიჩაირში (Çimliçayır), ოდიშარია-მარტვილელი ასახელებს მცირე ზომის ეკლესიას.

ადგილობრივ მოსახლეობას ამჟამადაც ახსოვს სოფელში ეკლესია, რომლისგანაც აღარაფერია დარჩენილი.

გუდანეთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის სოფელი გუდანეთში, თანამედროვე სოფელ ჩიმლიჩაირში (Çimliçayır) ადგილობრივი მოსახლეობა გუდანეთის ეკლესიის სიახლოვეს მიუთითებს ადგილს, სადაც სავარაუდოდ ციხე მდებარეობდა (41°16'54.15"N; 42°48'9.35"E). შემორჩენილია ქვების გროვები, თუმცა წყობა და ნაგებობების კვალი აღარ იკითხება.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ერემა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ერემაში, თანამედროვე სოფელ ერიმში (Erim) ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს წარსულში ეკლესიის არსებობას. შემორჩენილია ეკლესიის მცირე ნაშთები, კერძოდ ჯვრის კვარცხლბეკი (41°35'23.55"N; 42°44'15.95"E).

კ. სადოვსკი აღნიშნავს, რომ სოფელში დიდი ტაძარი მდგარა, რომელიც სასაზღვრო საგუშაგოს მშენებლობისას დაუნგრევიათ და ქვები გამოუყენებიათ მშენებლობისათვის. შენობის კედელში მკვლევარს დაფიქსირებული აქვს ასომთავრულწარწერიანი ქვაც. შესაძლოა მოსახლეობის მიერ დასახელებული ტაძარი და ჩვენს მიერ მიკვლეული არტეფაქტი სწორედ კ. სადოვსკის მიერ ნანახი ძეგლი იყოს.

ჯვრის კვარცხლბეკი (?)

ივანე გვარამაძეს 1906 წელს გადმოწერილი აქვს სოფელ ერემაში ეკლესიის ქვაზე ნაკვეთი სამსტრიქონიანი წარწერა, რომელიც წყაროს ნაგებობაში ყოფილა ჩატანებული. წარწერაში ისტორიული პირები იხსენიებიან. ავტორთა ნაწილი აქ მოხსენიებულ პირებს ტაოში მოღვაწე დიდი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს, ჩორჩანელებს და ოთხთა ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულ "ერისთავთერისთავ ხურსის" უკავშირებს.



სოფელ ერემაში ივანე გვარამაძის მიერ გადმოწერილი ეკლესიის წარწერა

კ. სადოვსკი სოფლის სიახლოვეს, წიწვოვან ტყეში კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთებს ასახელებს. ამჟამად არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ერემა, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ერემას, თანამედროვე სოფელ ერიმის (Erim) ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილია ციხე (41°35'25.20"N; 42°44'42.27"E).

ციხე მდებარეობს საქართველოს საზღვართან ახლოს, ამის გამო ვერ შევძელით ციხემდე მისვლა. გარე დათვალიერებით შეიმჩნევა ციხის კედლების მოზრდილი ფრაგმენტები. სოფელ ერემაში პრასკოვია უვაროვას დაფიქსირებული აქვს კოშკი, რომელიც შესაძლოა ამ ადგილას იდგა.



ვარძნა, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელ ვარძნაში, თანამედროვე სოფელ დემირდოვენში (Demirdöven) შემორჩენილია ეკლესიის დუღაბის ფრაგმენტები, ასევე, გათლილი ქვები, ქვის ემბაზი და ორნამენტიანი ქვა (41°29'40.07"N 42°39'32.18"E). სოფლის ტერიტორიაზე მრავლადაა გათლილი ქვები და კედლის დუღაბიანი ფრაგმენტები. ჩანს, ამ მიდამოებში ეკლესია მდებარეობდა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს.

სოფლის ცენტრში, საბძლის კედელში ჩატანებულია ორნამენტიანი ქვა (40×50 სმ.). ორნამენტი, სავარაუდოდ, სარკმლის წარბის ნაწილია. იმავე შენობის უკან, შემაღლებულ ადგილზე, მოყვითალო ქვის ჩუქურთმიანი, ოთხკუთხა ემბაზი დგას. მისი ზომებია: სიგრძე – 92, სიგანე – 77, სიმაღლე – 70 სანტიმეტრი, ხოლო სიღრმე – 40 სანტიმეტრია. ემბაზის ერთ-ერთ მხარეს ჯვრის ან ვარდულის ორნამენტია.

ეკლესია და სხვა არტეფაქტები მოხსენიებული არ არის ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ორნამენტიანი ქვა სოფლის #24 სახლის საბძლის კედელში.

ემბაზი

ემბაზი

ჯვრის ან ვარდულის გამოსახულება

ზეინდარი, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელი ზეინდარის, თანამედროვე სოფელ გუმუშკავაკის (Gümüşkavak) დასავლეთით, 0.7 კმ-ზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი დარბაზული ეკლესიის ფრაგმენტები (41°31'27.98"N; 42°45'51.60"E). ეკლესია გეგმის დონემდეა დანგრეული. შემორჩენილია დუღაბიანი კედლების ნაშთები, იკითხება საკურთხევლის მომრგვალება. ეკლესიის მიახლოებითი ზომებია 9×5 მეტრი. შემოგარენში შეიმჩნევა სხვა ნაგებობათა საძირკვლების კვალი.



მიახლოებითი გეგმა ლ. წიქარიშვილისა

ზემო წურმანი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელ ზემო წურმანის, თანამედროვე სოფელ იუკარიაიდერეს (Yukarıaydere) აღმოსავლეთით, მდინარის მარცხენა ნაპირზე, ქარაფზე მდებარეობს მეგალითური ნაგებობის ნაშთები (41°21'40.14"N; 42°42'54.93"E). მეგალითურ ნაგებობას ადგილობრივი მოსახლეობა ციხეს უწოდებს. ნაგებობა მშრალი წყობისაა; მისი გეგმის აღდგენა ძლიერი დაზიანების გამო ვერ ხერხდება.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ზემო ხანაკი, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელ ზემო ხანაკში, თანამედროვე სოფელ ავჯილარში (Avcılar), სოფლის განაპირას, მდინარე ხანაკის წყლის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ეკლესიის ნაშთები (41°15'6.61"N; 42°50'6.17"E).

შემორჩენილი კედლის სიმაღლე 3.6 მეტრია. მოპირკეთების ქვები შემოცლილია. სავარაუდოდ, შემორჩენილი ფრაგმენტი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეა.

ზემო ხანაკი, ციხე

ისტორიული ერუშეთის სოფელი ზემო ხანაკის, თანამედროვე სოფელი ავჯილარის (Avcılar) ჩრდილოეთით, სოფლიდან დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის ნაშთები (41°15'48.37"N; 42°49'36.45"E).

დარჩენილია დაახლოებით 20 მეტრი სიგრძის ორი პარალელური კედელი და მათი დამაკავშირებელი, პერანგშემოცლილი კედელი. აგრეთვე, კლდის კონცხზე ოთხკუთხა კოშკი (8.0×8.0 მ.), რომლის კედლის სიგანე 2.5-3 მეტრია. ციხე ნაგებია დიდი ქვითა და კირით.

იენიქოი, ეკლესია

ისტორიული სამცხის თანამედროვე სოფელ იენიქოის (Yeniköy) (სოფლის ძველი სახელწოდება უცნობია) სამხრეთ-აღმოსავლეთით, 0.8 კილომეტრზე, სათიბებში შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის კედლების ფრაგმენტები (41°28'22.54"N; 42°48'41.56"E).

შემორჩენილია საკურთხევლის პერანგშემოცლილი, 3 მეტრი სიმაღლის ნაშთები. იკითხება ტაძრის გეგმა, რომლის ზომებია 9.3×5.3 მეტრი. სოფელ იენიქოის სიახლოვეს პრასკოვია უვაროვას აღწერის გარეშე დაფიქსირებული აქვს ეკლესია, რომელიც შესაძლებელია ხსენებული ეკლესია იყოს.



ეკლესიის მიახლოებითი გეგმა ლ. წიქარიშვილისა

კარაკალე, ეკლესია სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი კარაკალეს (Karakale) (სოფლის ქართული სახელწოდება უცნობია) სიახლოვეს, ჩრდილოეთით, დაახლოებით 500 მეტრში შემორჩნილია ეკლესიის ფრაგმენტები (41°20'6.74"N; 42°42'36.29"E). ეკლესია საძირკვლამდეა დანგრეული. ადგილობრივთა თქმით ეკლესია გუმბათიანი ყოფილა. შემორჩენილია დუღაბიანი, ქაოსურად მიმობნეული ქვები, მათ შორის ერთი დიდი ზომის, გათლილი, მოპირკეთების ვარდისფერი ქვა. მოსახლეობის თქმით ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები დანგრევის შემდეგ ყარსის მუზეუმში წაუღიათ.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

კარაკალე, ციხე

ისტორიული ერუშეთის თანამედროვე სოფელი კარაკალესთან (Karakale) (სოფლის ქართული სახელწოდება უცნობია), მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაღალ კლდეზე შემორჩნილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის ნაშთები (41°19'54.67"N; 42°43'9.58"E). შეინიშნება დუღაბიანი მომრგვალებული ნაგებობის ნაშთები, რომელიც შესაძლებელია გოდოლი ყოფილიყო.

კონდურელი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ერუშეთის სოფელ კონდურელში, თანამედროვე სოფელი ალთინემეკში (Altınemek), სოფლის თავზე, შემაღლებულ ბორცვზე მიმობნეულია დიდი ზომის ქვები. იქვე შეინიშნება მომრგვალებული ნაგებობის კვალი (შესაძლებელია გოდოლის). ადგილობრივთა თქმით ამ ადგილას ციხე ყოფილა (41°16'36.46"N; 42°43'20.69"E).

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

მერე, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ მერეს, თანამედროვე სოფელი ჩაკირკოჩის (Çakırkoç) სიახლოვეს მდებარეობს წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილი მერეს ციხე (41°29´46.12˝N 42°43´3.28˝E). მასშტაბური ციხისაგან შემორჩენილია დიდი ზომის კედლების ნაწილი, პერანგშემოცლილი ეკლესია და XV-XVI საუკუნეების ქართული (მხედრული) წარწერა ციხის კედლის ქვაზე.

ციხისაგან შედარებით კარგადაა შენარჩუნებული სამხრეთი ნაწილი. შემორჩენილია კედლების, კოშკების და გოდლების ფრაგმენტები.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ფერდობზე ეკლესია მდებარეობდა. დარბაზული ეკლესიისგან შემორჩენილია პერანგშემოცლილი კედლების ფრაგმენტები. ძეგლს სამხრეთით ჰქონია მინაშენი. ეკლესია მოხატული ყოფილა.



ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი
ვ. დევიცკის 1905 წლის ექსპედიციების
მასალები, უცნობი ავტორის ჩანახატი

ციხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი
ვ. დევიცკის 1905 წლის ექსპედიციების მასალები
უცნობი ავტორის ჩანახატი



ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი,
ვ. დევიცკის 1905 წლის ექსპედიციების მასალები,
უცნობი ავტორის ჩანახატი. დაცულია საქართველოს
თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში



ეკლესიის გეგმა გ. და ნ. ბაგრატიონებისა
maps.nekeri.net/caucasia/მერე (ნახვის დრო 30.12.2014)

სოფელ მერეში 1906 წელს ივანე გვარამაძე აფიქსირებს სოფლის ეკლესიას და გადმოწერილი აქვს მერეს სოფლის ეკლესიის სამსტრიქონიანი ლაპიდარული წარწერა. ამჟამად ეკლესია შემორჩენილი არ არის.

ორღართა, მონასტერი

ისტორიული სამცხის სოფელ ალის, თანამედროვე სოფელ ალქოის (Alköy) სამხრეთით, დაახლოებით 6 კილომეტრზე მდებარეობს ორღართას მონასტერი (41°26'48.89"N;42°46'48.78"E). კომპლექსი განლაგებულია მთაზე, რომელიც "უგლარის" სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ადგილს სოფელ ალის ადგილობრივი მოსახლეობა "კიზკილისა"-ს უწოდებს, რაც ქალთა ეკლესიას ნიშნავს.

კომპლექსი მდებარეობს ზღვის დონიდან 2470 მ-ზე, მისი მიახლოებითი სიგრძეა 50 მეტრი, სიგანე 15-20 მეტრი. იკითხება აღმოსავლეთისაკენ ორიენტირებული დუღაბიანი კონქის ფორმის კონსტრუქცია (კონქის მიწისზედა სიმაღლე 1.1 მ, სიგანე 2.2 მ). ძლიერი დაზიანების გამო კომპლექსის ნაგებობების გეგმები არ იკითხება. მიმდებარე ტერიტორიაზე მიმობნეულია კარგად გათლილი მოპირკეთების და შემკულობის ქვები.

კომპლექსი შესაძლოა გავაიგივოთ XIII საუკუნის მოღვაწის აბუსერიძე ტბელის აგიოგრაფიული თხზულება - "ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი"-ში მოხსენიებულ ორღართას მონასტერთან, რის საფუძველსაც თხზულების ტექსტში მოყვანილი ტოპონიმიკისა და რამდენიმე ეპიზოდის შეჯერება გვაძლევს.

პეტობანი, ეკლესიები

ისტორიული სამცხის სოფელ პეტობანის, თანამედროვე სოფელი კალკანკაიას (Kalkankaya) სამხრეთ-დასავლეთით, გარეუბანში მდებარეობს სამეურნეო ნაგებობად გადაკეთებული დარბაზული ეკლესია (41°34'3.48"N; 42°45'40.25"E). ძეგლის ზომებია 9.9×7.2 მეტრი. შემორჩენილია ტაძრის პერანგშემოცლილი 4-5 მეტრის სიმაღლის კედლები. ამჟამად შენობაში გამართულია საბძელი, რომლის კედლების ნაწილი ახლადაა ნაშენი.

ნაგებობის გარეთ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მიწიდან 1.7 მეტრის სიმაღლეზე ჩატანებულია წარწერიანი ქვა. ქვაზე 14 სტრიქონია ასომთავრულით შესრულებული. იგი სხვა, ვრცელი წარწერის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც სრული სახით არაა შემორჩენილი. შემორჩენილი ტექსტიდან ირკვევა, რომ წარწერა აღაპის განწესებას ეხებოდა. ქვა არასწორადაა ჩადგმული და მისი სტრიქონები ვერტიკალურადაა განლაგებული. წარწერიანი ქვის ზომებია 50×20 სმ, ხოლო სისქე 20 სმ-ია.

სოფელ პეტობნის ეკლესია მოხსენიებული აქვს პრასკოვია უვაროვას, თუმცა, აღნიშნულ წარწერიან ქვაზე არაფერი უწერია. წარწერა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.





ეკლესიის მიახლოვებითი გეგმა ლ. წიქარიშვილისა

სოფლის ჩრდილოეთით 1.8 კმ-ზე, ხეობის თავზე, შემაღლებულ ბორცვზე, ადგილობრივთა ცნობით, იყო კიდევ ერთი ეკლესია (41°35'3.65"N; 42°46'0.11"E). მითითებულ ადგილზე ეკლესიის კედლები და გეგმა აღარ იკითხება, თუმცა შემორჩენილია დუღაბიანი და გათლილი ქვების უმნიშვნელო ფრაგმენტები.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფელ პეტობანთან არის დაკავშირებული სარკმლის თავსართი და ჯვრის გამოსახულებიანი ქვა, რომლებიც XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩამოიტანეს ამ სოფლიდან თბილისში. რელიეფზე გამოსახულია ქალისა და მამაკაცის ფიგურა, რომელთაც უპყრიათ გუმბათიანი ტაძარი. რელიეფზე წარწერაც ყოფილა, საიდანაც რამდენიმე გრაფემა იკითხება. თვით ეკლესია, საიდანაც ეს ნიმუშებია წამოღებული, ცნობილი არ არის. ასევე უცნობია სარკმლის თავსართზე გამოსახული გუმბათიანი ეკლესიის ზუსტი ადგილმდებარეობა.

საკირე, ეკლესია სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელ საკირეს, თანამედროვე სოფელ ჩამბელის (Çambeli) აღმოსავლეთით 1 კილომეტრზე, სათიბებში მდებარეობს წერილობითი წყაროებიდან ცნობილი დარბაზული ეკლესიის ფრაგმენტები (41°29'15.95"N; 42°47'58.74"E).

ეკლესიის ზომების დადგენა ვერ ხერხდება ძლიერი დაზიანების გამო. იკითხება საკურთხევლის მომრგვალება, რომლის შემორჩენილი კედლების სიმაღლე 5-6 მეტრია, სიგანე – 60 სანტიმეტრი. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა დიდი ზომის ფილებით, რომელთაგან მხოლოდ ერთი, კარგად გათლილი ნაცრისფერი კვადრიღაა შემორჩენილი ადგილზე. ეკლესიის სიახლოვეს მისი ჩამოქცეული გადახურვისა და კედლების ფრაგმენტებია.



ფოტო 1-3. ეკლესიის შემორჩენილი კედლების ფრაგმენტები.

ეკლესიის მიახლოვებითი გეგმა ლ. წიქარიშვილისა

სოფელ საკირეში ოდიშარია მარტვილელი 1913-1918 წლების მოგზაურობათა დღიურებში ასახელებს „პატარა მთელ ციხეს“ , ციხის ამჟამინდელი მდებარეობა უცნობია.

სამოთხე, მეგალითური ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელ სამოთხეს, თანამედროვე სოფელ უჩდერეს (Uçdere) აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კმ-ზე მდებარეობს მეგალითური ნაგებობა (41°21'36.01"N; 42°54'31.43"E).

ძეგლი არ არის დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სეიდივერანი, მეგალითურისა და სხვა ტიპის ნაგებობების კომპლექსი სოფლის დასავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელ სეიდევერანის, თანამედროვე სოფელი სეითორენის (Seyitören) დასავლეთით, დაახლოებით 1 კმ-ზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ავტომაგისტრალთან ახლოს მდებარეობს მასშტაბური მეგალითური კომპლექსი (41°23'26.04"N; 42°46'39.72"E).

კომპლექსის ცენტრში დგას 11.2×12.1 მეტრის ზომის ნაგებობა, რომლის კედლები ნაწილობრივაა შემორჩენილი. იკითხება გეგმა. ნაგებია უხეშად დამუშავებული მეგალითებისაგან. შემორჩენილ კედელზე არის კარის ღიობი, რომლის სიგანეა 1.1 მეტრი. დანარჩენი ნაგებობები განფენილია დაახლოებით ასი მეტრის რადიუსში და ნაგებია შედარებით მცირე ზომის ქვებისაგან. განირჩევა ნამოსახლარის გეგმარება ნაგებობებისა და ქუჩების დონეზე.

კომპლექსი არ არის დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ქვემო წურმანი, მეგალითური (?) ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ერუშეთის სოფელ ქვემო წურმანის, თანამედროვე სოფელ აშაღი აიდერეს (Aşağıaydere) ჩრდილო-აღმოსავლეთით, საზაფხულო სადგომებთან შემორჩენილია მეგალითური ნაგებობის მცირე ნაშთები (41°22'18.57"N; 42°44'51.38"E).

ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 10 მეტრია. იგი დგას კლდოვან შემაღლებულ ბორცვზე. ნაგებობის სიახლოვეს არის ძველი ნასოფლარი.

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

სოფლის მოსახლეობის თქმით სოფელში ყოფილა ეკლესიაც, რომლის ფრაგმენტები ამჟამად აღარაა შემორჩენილი.

ღვიმე, ეკლესია

ისტორიული სამცხის სოფელ ღვიმეს, თანამედროვე სოფელ ქუმლუქოზის (Kumlukoz) დასავლეთით 0.7 კმ-ზე, მდინარე ღრმანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე შემორჩენილია დარბაზული ეკლესიის ნაშთები (41°34'10.41"N; 42°46'50.21"E).

ეკლესიას მინაშენი ჰქონია, (შესაძლებელია ყოფილიყო ბაზილიკაც). ტაძრის შიდა სიგანე 5.9 მეტრია (სიგრძე არ იზომება, ძლიერი დაზიანების გამო), ხოლო კედლის სიგანე 1 მეტრამდე აღწევს. საკურთხევლის მომრგვალება აფსიდურია, ხოლო გარედან მართკუთხედის ფორმისაა. ეკლესიის საკურთხეველი და ჩრდილოეთი კედელი შემორჩენილია 4-5 მეტრის სიმაღლეზე, რომელშიც სარკმლის ღიობები იკითხება. კედლები, როგორც გარედან, ისე შიგნიდან დიდი ზომის ქვებით ყოფილა მოპირკეთებული, თუმცა ადგილზე მოპირკეთების არცერთი ქვა არ არის შემორჩენილი. ტაძრის სამხრეთით მინაშენია (სიგრძე არ იზომება), ჩრდილოეთ მინაშენიდან მხოლოდ მცირედი კვალიღა იკითხება. აღსანიშნავია ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ორაფსიდიანი ნაგებობა, რომელიც გარედან მართკუთხედის გეგმისაა. ტაძარს დასავლეთიდან აქვს ძლიერ დაზიანებული კიდევ ერთი მინაშენი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ოდიშარია მარტვილელი 1913-1918 წლების მოგზაურობათა დღიურებში სოფელ ღვიმეში („ღუმე“) ასახელებს კიდევ ერთ ეკლესიას, რომლის ლოკალიზება ვერ ხერხდება.

ოდიშარია მარტვილელი სოფელ საკირეში ასახელებს პატარა ციხეს, რომლის ამჟამინდელი მდებარეობა უცნობია. სავარაუდოდ ციხე განადგურებულია.

ღვიმე, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ღვიმეს, თანამედროვე სოფელ ქუმლუქოზის (Kumlukoz) სამხრეთ-დასავლეთით შემორჩენილია ციხის ფრაგმენტები (41°33'58.44"N; 42°46'46.60"E).

შემორჩენილია კედლისა და გოდლის ნაშთები, რომლებიც მთლიანობაში არ იკითხება და ვერ ხერხდება ციხის აღწერა და გეგმის დადგენა. ციხე გადაჰყურებს მისგან აღმოსავლეთით, ხევს გადაღმა მდებარე შედარებით მცირე ციხეს (ჭუანთელის ციხე) და ღვიმეს ეკლესიას.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ღვინია, ეკლესიისა და სხვა ნაგებობების კომპლექსი

ისტორიული სამცხის სოფელ ღვინიას, თანამედროვე სოფელ ოზბაშის (Özbaşı) დასავლეთით 1.5 კმ-ზე, მდინარე სეჯესწყლის მარჯვენა ნაპირზე, ფერდობზე, მდებარეობს ეკლესიის და სხვა ნაგებობათა ფრაგმენტები (41°29'54.31"N; 42°41'1.62"E).

ეკლესია დარბაზულია, ზომებით 10×6 მეტრი. მთავარი ტაძრის საკურთხეველში, ჩრდილოეთ მხარეს, შემორჩენილია ნიში, მოპირკეთების ქვებით. მთავარ ტაძარს მოპირკეთების დანარჩენი ქვები მთლიანად შემოცლილი აქვს. ეკლესია გადატიხრულია და ამოვსებულია ნანგრევებით. მთავარი ტაძრის შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3.5 მეტრია, კედლის სიგანე დაახლოებით 80-90 სმ-ია.

ტაძარს ჩრდილოეთიდან აქვს მინაშენი, ხოლო სამხრეთიდან შეიმჩნევა მინაშენის არსებობის კვალი. ჩრდილოეთის მინაშენი ნაწილობრივ მიწითაა დაფარული. მისი შიდა სიგანეა 3.2 მეტრი და მთელს სიგრძეზე გასდევს კედელს. მინაშენი შუა მონაკვეთში გაყოფილია ტიხრით. შეიმჩნევა მისი ტაძართან დამაკავშირებელი კარის კვალი. იგი აღმოსავლეთით ბოლოვდება კონქით. მას შიგნიდან მრავლად აქვს შემორჩენილი მოპირკეთების ქვები. მინაშენის გადახურვა ცილინდრულია. მთავრი ტაძრის აღმოსავლეთით 10 მეტრში შემორჩენილია აფსიდის მოპირკეთებული ფრაგმენტი. ნაგებობის დანარჩენი ნაწილი მთლიანად განადგურებულია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილოით წყაროებში.



ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით 5 მეტრის მანძილზე კედლის ფრაგმენტებია. იგი რკალისებურად გასდევს რელიეფს. ტაძრის სიახლოვეს კიდევ არის მომრგვალებული კედელი, რომელიც დაახლოებით 10 მეტრი სიგრძისაა. ამ კედლების დაახლოებითი სიმაღლეა 2 მეტრია.

მთავარი ტაძრის დასავლეთით, 20 მეტრზე არის ნაგებობის კვალი, საიდანაც ადგილობრივთა თქმით წყარო გადმოდიოდა. ახალი წყარო მდებარეობს ამ ნაგებობის მახლობლად, მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ნაგებობები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილოით წყაროებში.

ღვინია, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ღვინიასთან, თანამედროვე სოფელ ოზბაშთან (Özbaşı), ხეობაში მდებარეობს მასშტაბური ციხე (41°29'51.41"N; 42°41'50.04"E). ციხე დაახლოებით 1500 კვადრატულ მეტრზეა განფენილი. უკეთესადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც მოპირკეთების ქვები უმეტესად შერჩენილი აქვს. ამ ნაწილში კარგად განირჩევა სამი გოდოლი, რომელთა კედლის სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. ციხის შიგნით დარჩენილია შიდა კედლების ნაშთები. ციხის ჩრდილოეთი დაბოლოება წარმოადგენს ოთხკუთხა ნაგებობას, დანარჩენი ნაწილი თითქმის ბოლომდეა დანგრეული. ციხე დიდი ზომის ქვებითაა მოპირკეთებული.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ყველი, მონასტერი

ისტორიული სამცხის სოფელ ყველის, თანამედროვე სოფელ ქოლქოის (Kolköy) სიახლოვეს ფიქსირდება ადგილი, სადაც, სავარაუდოდ, ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ყველის მონასტერი მდებარეობდა (41°27'17.02"N; 42°37'49.25"E).

ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა მონასტერს ეძახის (ზოგი ვერსიით – კოლ მონასტირი, ანუ ყველის მონასტერი). ადგილობრივთა თქმით, 1980-იან წლებამდე, აქ შემორჩენილი ყოფილა ეკლესიის კედლები, რომლებიც ფერდობზე ტერასების გაკეთებისას დაანგრიეს. ამ ადგილზე ამჟამად საძირკვლების კვალია, თუმცა ზედაპირული დათვალიერებით შეუძლებელია ფორმების და ნაგებობების გეგმათა აღდგენა.

ბასილი ზარზმელის IX-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში მოხსენიებულია წმ. იოვანეს მონასტერი, რომელიც აშენდა სოფელ ყველის მიდამოებში. შესაძლებელია აღნიშნული მონასტრის ადგილსამყოფელი, სოფელ ყველის მიდამოებში, დღემდე მონასტრად წოდებულ ადგილზე ყოფილიყო, სადაც ადგილობრივები ადასტურებენ ძველად ეკლესიის არსებობას. მონასტრის უფრო ზუსტი ლოკალიზაცია ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

ყველი, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ყველის, თანამედროვე სოფელ ქოლქოის (Kolköy) სიახლოვეს, მდინარე ფოცხოვის წყლის მარცხენა ნაპირზე აღმართულ კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილი ყველის ციხის ფრაგმენტები (41°26'29.67"N; 42°37'51.38"E).

ამჟამად ციხისაგან რამდენიმე მეტრის კედლის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ციხის ტერიტორიაზე განირჩევა, გუმბათოვანი ეკლესიის უმნიშვნელო ნაშთები.

შუარტყალი, ეკლესიები

ისტორიული სამცხის სოფელ შუარტყალის, თანამედროვე სოფელ გონულაჩანის (Gönülaçan) დასავლეთით 1.7 კილომეტრზე, ტყეში, თხილნარში, მდინარე ღრმანისწყლის მარცხენა სანაპიროზე, მდინარიდან დაახლოებით 200 მეტრზე მდებარეობს ეკლესიის ფრაგმენტები (41°33'54.60"N; 42°42'19.67"E).

შუარტყალის ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. შედარებით უკეთაა შენარჩუნებული ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე, რომლის კედლების სიმაღლე 5 მეტრამდეა. შემორჩენილია ჩრდილოეთის ნიში, რომელსაც აღმოსავლეთით სარკმელი ჰქონია. დარჩენილია სარკმლის ზედა წირთხლი და ნიშის კამარის მოპირკეთება. ტაძრის მიდამოებში მრავლადაა დუღაბიანი კედლებისა და ქვების ფრაგმენტები.

სოფელი შუარტყალი და ეკლესია აღწერილია აბუსერიძე ტბელის XIII საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში.

ტოპონიმიკისა და ჰაგიოგრაფიული თხზულების ეპიზოდების შეჯერებით ღრმანისწყლის ხეობაში მდებარე ეს ეკლესია თხზულებაში მოხსენიებულ ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან შეიძლება გავაიგივოთ.

ამავე სოფელში, ზემოთ მოყვანილი ეკლესიის სიახლოვეს, მდინარის მეორე მხარეს შემორჩენილია დუღაბის ფრაგმენტები (41°33'45.39"N; 42°42'18.56"E). ამ ტერიტორიაზე ძველი ნამოსახლარი ჩანს, ადგილობრივთა თქმით ძველი შუარტყალი სწორედ აქ ყოფილა.

აბუსერიძე ტბელის თხზულების მიხედვით, სოფელ შუარტყალში წმინდა გიორგის ეკლესია იხსენიება. თხზულებიდან ჩანს, რომ ეკლესია ზემოთ მოყვანილი ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიასთან ახლოს, მდინარის პირას მდებარეობს.

ამდენად, სავარაუდოა, რომ ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა წმინდა გიორგის ეკლესია. ამ ადგილის მდებარეობა შეესაბამება თხზულებაში აღწერილ რელიეფს და შემორჩენილ ტოპონიმიკას.

ჩიკორა, ეკლესია

ისტორიული ერუშეთის სოფელ ჩიკორაში, თანამედროვე სოფელ ობრუჯაკში (Obrucak), სოფლის ღობეებში დარჩენილია დუღაბის მცირე ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ეს ეკლესიის შემორჩენილი ნაშთებია (41°21'4.59"N; 42°52'16.08"E.).

ძეგლი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ჩორჩევანი, დარანი

ისტორიული სამცხის სოფელ ჩორჩევანში, თანამედროვე სოფელ გურარმუტის (Gürarmut) დასავლეთით, 0.5 კილომეტრზე, გარეუბანში, რომელსაც კაპანს უწოდებენ, მდებარეობს დარანი (41°30'49.36"N 42°38'42.59"E). სოფელ გიურარმუტს ადგილობრივი მოსახლეობა ყველისწყლად მოიხსენიებს.

ნაგებობის შესასვლელი ამოვსებულია მიწით და დარჩენილია ვიწრო შესაძრომი. შენობის დიდი ნაწილი მეგალითებითაა ნაგები, რომელთაგან ზოგიერთი მათგანის სიგრძე 2 მეტრამდეა. შუა ადგილას გადაყვანილია თაღი, რომელიც მარტივ იმპოსტებს ეყრდნობა. ნაგებობა შიგნიდან წაგრძელებული, მართკუთხედის ფორმისაა და დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ჩრდილოეთ ნაწილი ამოშენებულია. ამჟამინდელი შიდა ნაწილის ზომებია – 5.5×3.5 მეტრი. სათავსის შიდა სივრცე ნაწილობრივ მიწითაა ამოვსებული, ამიტომ მისი სიმაღლე ცვალებადია და 1-დან 2 მეტრამდე მერყეობს. ადგილობრივები ამ ნაგებობას ეკლესიად მოიხსენიებენ, მათივე თქმით ორნამენტიანი ქვა (იხ., ჩორჩევანი, სოფელში დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვა) თავდაპირველად ამ ნაგებობაში იყო ჩადგმული.

ნაგებობა არ არის დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ჩორჩევანი, სოფელში დაფიქსირებული ორნამენტიანი ქვა

ისტორიული სამცხის სოფელ ჩორჩევანში, თანამედროვე სოფელ გურარმუტის (Gürarmut) უბანში, რომელსაც კაპანის უბანს უწოდებენ, შემორჩენილია ჯვრის ორნამენტიანი ქვა (41°30'40.05"N; 42°38'50.21"E). საცხოვრებელი სახლის კედელში, მიწიდან 1 მეტრის სიმაღლეზე ჩატანებულია მოყვითალო ფერის ქვა, რომელზეც ამოკვეთილია გამშვენებული ჯვრის ორნამენტი. ქვის დაახლოებითი ზომებია 40×40 სმ. ადგილობრივთა თქმით ქვა თავდაპირველად ჩატანებული ყოფილა ამავე უბანში მდებარე მიწისქვეშა დარანში (იხ., ჩორჩევანი, დარანი).

არტეფაქტი არ არის დაფიქსირებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

წურწყაბი, საეპისკოპოსო ტაძარი

ისტორიული სამცხის სოფელ წურწყაბში, თანამედროვე სოფელ აშიკზულალში (Aşıkzülali) მდებარეობდა წერილობითი წყაროებიდან ცნობილი წურწყაბის საეპისკოპოსო ტაძარი (41°25'54.95"N; 42°39'44.90"E).

ამჟამად ტაძარი დანგრეულია, ადგილობრივთა თქმით მის ადგილას მეჩეთი აუშენებიათ. აფსიდის ნაწილი, აგრეთვე, გათლილი და ორნამენტებიანი ქვები ჩატანებულია მეჩეთის კედლებში.

წურწყაბი, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ წურწყაბში თანამედროვე სოფელ აშიკზულალში (Aşıkzülali), სოფლის ცენტრში აღმართულ ბორცვზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის კედლების ფრაგმენტები (41°25'59.16"N; 42°39'37.61"E). ციხის გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება, მისი დიდი ნაწილი დანგრეულია და ნაწილი ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ და დამხმარე ნაგებობებში. კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვითა და დუღაბით.

ჭანჭახი, ციხეები

ისტორიული სამცხის სოფელ ჭანჭახის, თანამედროვე სოფელ სავაშირის (Savaşır) ტერიტორიაზე, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, მაღალ კლდეზე, შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ზედა ციხის ნანგრევები (41°27'49.47"N; 42°51'16.78"E), მათ შორის დიდი კოშკი, ზომებით დაახლოებით 10×12 მეტრი, რომელთა კედლების სიმაღლე 5-დან 15 მეტრამდეა. კოშკიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით მეორე კოშკის ერთი კედელია დარჩენილი, სიმაღლით 6-7 მეტრი. კლდის ნაპირებს გასდევს გალავნის კედლის ფრაგმენტები.

ზედა ციხის ქვემოთ, სოფლის ტერიტორიაზე, ერთ მონაკვეთში მდინარე ვიწრო კლდოვან კანიონში მიედინება. ამ მონაკვეთის სანაპიროს შვერილ კლდეზე და მის მიდამოებზე შემორჩენილია ციხე-გალავნის კედლების ფრაგმენტები, სიმაღლით 7-8 მეტრი. აქ მდებარეობდა ჭანჭახის ქვედა ციხე (41°27'58.97"N; 42°51'11.35"E). ციხე ძლიერაა დანგრეული და მხოლოდ კედლის მოზრდილი ფრაგმენტებია დარჩენილი.

ქვედა ციხიდან ასიოდე მეტრის მოშორებით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე თეთრი ქვით ნაგები შენობის ნაშთებია (41°28'1.74"N 42°51'9.01"E), მისი ფუნქცია გაურკვეველია.

ჭუანთელი, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ჭუანთელის, თანამედროვე სოფელ ინჯედერეს (İncedere) ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 0.7-0.8 კილომეტრზე, ხეობაში მდებარეობს მცირე ზომის ციხე (41°33'50.00"N; 42°46'48.87"E). იგი ცალკე მდგომ კლდეზეა განლაგებული, რომელსაც მისადგომი მხოლოდ ერთი მხრიდან აქვს. სამკუთხა ფორმის ციხისაგან შემორჩენილია 8 მეტრის სიგრძის კედელი და ნაგებობათა მცირე ნაშთები, მათ შორის 2.5 მეტრის დიამეტრის მქონე გოდლის ფრაგმენტები.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ხუნამისი, ციხე, ეკლესია და კოშკები

ისტორიული სამცხის სოფელ ხუნამისში, თანამედროვე სოფელ სოღუთლუკაიაში (Söğütlükaya), სოფლის ქვემოთ 0.7-0.8 კილომეტრზე, მდინარის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხე და ეკლესია (41°28'33.44"N 42°40'46.68"E).

ციხისგან ყველაზე უკეთ შემონახულია ოვალური ფორმის კოშკი. მისი კედლები 2.5-2.8 მეტრის სიგანისაა. კოშკის შიდა ზომებია 8×3 მეტრი. შიდა და გარე კედლები მოპირკეთებულია დიდი ზომის კვადრებით. მათ შორის სივრცე ამოვსებულია კირიანი წყობით. იქვე, კოშკის დასავლეთით 40-50 მეტრზე ციხის კედლის ფრაგმენტებია. აქვეა კუთხოვანი ფორმის 1.1 მეტრის სიგანის კედელი, სიმაღლით 2.1-4.8 მ.

კოშკის ჩრდილოეთით დარბაზული ეკლესიის და მინაშენების ფრაგმენტებია. შემორჩენილია საკურთხევლის მომრგვალება და ჩრდილოეთ კედელი. ჩრდილოეთით აქვს მინაშენი, რომელიც მთავარ ტაძარს კარით უკავშირდებოდა. მინაშენის შიდა ზომებია 6×2.6 მეტრი. მთავარ ტაძარში დანგრეულია სამხრეთისა და დასავლეთის კედლები. ტაძარს, ჩანს, მინაშენი სამხრეთიდანაც ჰქონია, რომელიც ამჟამად სრულიად დანგრეულია. მთავარი ტაძრის ზომებია 11.3×7.1 მეტრი, შემორჩენილი კედლების სიმაღლე – 3-დან 6 მეტრამდეა. კედლის სიგანე საკურთხეველთან 0.7 მეტრია. აგრეთვე, შემორჩენილია შიდა და გარე მოპირკეთების ქვები.

ცნობილია ხუნამისის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, რომელიც შ. ამირანაშვილის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. შესაძლოა ქვა ზემოთ აღნიშნული ეკლესიიდან იყოს წამოღებული.

ხუნამისის ციხიდან ქვემოთ, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ორი კოშკი. ზედა კოშკი (41°28'45.94"N; 42°40'59.19"E) მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ციცაბო კლდეზე, რომელიც ამჟამად საძირკვლამდეა დანგრეული და მისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. განირჩევა დუღაბიანი ქვების კვალი.

ზედა კოშკის აღმოსავლეთით და სოფლის ჩრდილოეთით, მაღალ კლდეზე უკეთაა შემორჩენილი ქვედა კოშკი (41°28'55.49"N 42°41'10.59"E).

ნაგებობა აღმოსავლეთიდან მომრგვალებული ფორმისაა. მისი ზომებია 10×7 მეტრი, სიმაღლე 3-7 მეტრამდე. სამხრეთ-დასავლეთის მხარეზე კოშკის კედლებს საძირკველი აქვს გამოცლილი.

კოშკები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში.

ჯაყი, ციხე

ისტორიული სამცხის სოფელ ჯაყთან, თანამედროვე სოფელ იურთბეკლერთან (Yurtbekler), ფოცხოვის წყლისა და მისი მარჯვენა შენაკადის, ჯაყისწყლის შეერთების ადგილთან, მაღალ კლდეზე შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ციხის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები და ციხის ეკლესიის კედლები (41°30'27.58"N; 42°48'7.70"E).

ციხესთან ახლოს, დასავლეთით, ფერდობზე, აფსიდით კლდეზე მიდგმული დარბაზული ეკლესიის ფრაგმენტებია. ეკლესიის შემორჩენილ კედლებზე თითქმის მთლიანადაა დარჩენილი ნაცრისფერო მოპირკეთების ქვები.

ჯაყის ციხე და ეკლესია მის ძირში

ჯაყის წყლის ხეობაში, ჯაყის ციხიდან 1 კილომეტრზე, საქართველოს საზღვართან, მდინარე ჯაყისწყლის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს დარბაზული ეკლესია. ნაგებობის ზომებია 11.5×7.5 მეტრი, ხოლო კედლის სიმაღლე ზოგან 5 მეტრს აღწევს. შემორჩენილია შიდა და გარე მოპირკეთების ქვები. ინტერიერის შუა ადგილას, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით, ჩანს პილასტრების წყვილის ნაშთები. ადგილობრივები ეკლესიას ჯაყის წყლის ეკლესიას უწოდებენ.

პრასკოვია უვაროვას ჯაყის წყლის ხეობაში დაფიქსირებული აქვს ხეოსმანის დარბაზული ეკლესია, რომელიც ზემოთ აღნიშნული ეკლესია უნდა იყოს.

ჯუმათელი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული სამცხის სოფელ ჯუმათელის, თანამედროვე სოფელ ბაიკენტის (Baykent) სამხრეთ-აღმოსავლეთით, გარეუბანში შემორჩენილია წერილობითი წყაროებიდან ცნობილი საძირკვლამდე დანგრეული ეკლესიის ფრაგმენტები (41°25'21.70"N. 42°39'3.63"E). იკითხება საკურთხევლის მომრგვალება, თუმცა ძლიერი დაზიანების გამო ვერ ხერხდება ეკლესიის გეგმის აღდგენა.